დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2025 წლის
25 თებერვლის N02 გადაწყვეტილებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2025-2031)

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობ მექანიზმებს უნივერსიტეტის ფორმისა და ფუნქციების შესაბამისად.

2. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციას განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს:
   - ორგანიზაციული განვითარებისათვის;
   - ხარისხის უზრუნველყოფისთვის;
   - საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისათვის;
   - სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის;
   - პერსონალისა და სტუდენტების განვითარებისათვის.

3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სფეროში უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:
   - უზრუნველყოს ძირითადი საგანმანთლებლო ერთეულებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობის მაღალი ხარისხი;
   - განავითაროს პერსონალი და ინტერნაციონალიზაციის პროცესი წარმართოს სწორად შერჩეული ჩართული პირების საშუალებით (ენის კარგი ცოდნით, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის უნარით, საუკეთესო საკომუნიკაციო თვისებებით, პროექტების მართვის გამოცდილებით, სწავლისა და ინოვაციების ძიების უნარით);
   - ხელი შეუწყოს პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობას და უცხოელი სტუდენტების მოზიდვას;
   - ხელი შეუწყოს მუდმივი საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარებას;
   - უზრუნველყოს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ინფორმაციის რეგულარული და გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობა (ინგლისურ ენაზე).

4. ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმებია:
   4.1. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერა სტრატეგიული განვითარებისა (2025-2031) და სამოქმედო გეგმებით (2025-2027);
   4.2. ინტერნაციონალიზაციის პროცესის ინტეგრირება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ყველა ძირითად მიმართულებებში
   4.3. ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული თითოეული მიზანის/ამოცანის კომპონენტებისათვის წარმმართველი სტრუქტურების განსაზღვრა
   4.4. ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული თითოეული მიზანის/ამოცანისთვის შესრულებისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრა.

5. გაცხადებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად ინტერნაციონალიზაციის საკითხები ინტეგრირებულია სტრატეგიული განვითარების (2025-2031) გეგმის შემდეგ ამოცანებში:
   - უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
   - უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა;

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხელშეწყობა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დანერგვა და განვითარება;
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობა და აკადემიური პირების მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში;
- პერსონალის უცხო ენის (ინგლისურის) კომპეტენციის ამაღლება შესაბამისი ტრენინგ-კურსების მეშვეობით;
- უცხოელ ლექტორების მოწვევა/მიღება ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში;
- სტუდენტების მობილობა პარტნიორ უნივერსიტეტებში;
- უცხოელ სტუდენტების მოწვევა/მიღება ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში;
- ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა მივლინება პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით;
- თანამშრომლობა უცხოეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან;
- საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება და უცხოელ სტუდენტების მოზიდვა.